ნუთუ თქვენ მე არ მენდობით? როცა მე მინდობილი ვარ იმის, ვინც ცაშია და ყოველ დილა-საღამოს ჩემთან ზეციდან ამბები მოდის

აბუ საიდ ალ-ხუდრის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემის თანახმად, მან თქვა: როცა ალი იბნ აბუ ტალიბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იემენში ჯერ კიდევ გაუწმენდავი ოქროს მადანი გამოუგზავნა, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იგი ოთხ ადამიანს გაუნაწილა: უიაინა იბნ ბადრს, აყრა'ა იბნ ჰაბისს და ზაიდ ალ-ხაილს, ხოლო მეოთხე პირი ან ალყამა ან 'ამირ იბნ ატ-ტუფაილი იყო. ერთ-ერთმა საჰაბამ თქვა: "ჩვენ უფრო მეტი უფლება გვქონდა მასზე". ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ნუთუ თქვენ მე არ მენდობით? როცა მე მინდობილი ვარ იმის, ვინც ცაშია და ყოველ დილა-საღამოს ჩემთან ზეციდან ამბები მოდის». ამ დროს მოვიდა კაცი ჩავარდნილი თვალებით, გამოშვერილი ყვრიმალებით, ამობურცული შუბლით, ხშირი წვერით, გაპარსული თავით და დაბლიდან ამოკეცილი იზარით. მან შესძახა: "ო, ალლაჰის მოციქულო! გეშინოდეს ალლაჰის". მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ვაი შენ! განა მე არ მაქვს ყველაზე მეტი უფლება, რომ მეშინოდეს ალლაჰის?» შემდეგ, ის კაცი მოტრიალდა წასასვლელად, და ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა თქვა: "ო, ალლაჰის მოციქულო! ნება მომეცი, თავი მოვკვეთო მას!" მაგრამ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «არა, რადგან შესაძლოა, ის ლოცულობდეს». ხალიდმა თქვა: "რამდენია ისეთი, ვინც ენით ამბობს, მაგრამ გულში სხვა რამ აქვს!" მაშინ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, მე არ დამევალა, რომ ჩავიხედო ხალხის გულებში და გავკვეთო მათი შინაგანი სამყარო». შემდეგ, როდესაც ის კაცი ზურგით შებრუნდა და მოშორდა, ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეხედა და თქვა: «ჭეშმარიტად, ამ კაცის შთამომავლობაში გაჩნდებიან ადამიანები, რომლებიც გაუჩერებლად კითხულობენ ალლაჰის წიგნს, მაგრამ ეს კითხვა მათ ყელს იქით ვერ გავა, და ისინი რელიგიიდან გამოვლენ, როგორც ისარი გავარდება ნადირის სხეულიდან.». და, როგორც ჩანს, მან დაამატა: «ჭეშმარიტად, თუ მე მივაღწევ იმ დროს, როცა ისინი გამოჩნდებიან, უეჭველად გავანადგურებ მათ, როგორც განადგურდნენ სამუდიანები!»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალი იბნ აბუ ტალიბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გაუგზავნა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იემენიდან ოქროს ნაჭერი, რომელიც ჯერ კიდევ გაუწმენდავი იყო მიწის ნარჩენებისგან და მოთავსებული იყო ქარაზის (განსაკუთრებული მცენარის) ფოთლებით დამუშავებულ ტყავში. მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაანაწილა ის ოთხ ადამიანს შორის: ესენი იყვნენ 'უიაინა იბნ ბადრ ალ-ფაზაარი, აყრა იბნ ჰააბის ალ-ჰანზალი, ზაიდ ალ-ხაილ ან-ნაბჰაანი და 'ალყამა იბნ 'ულასა ალ-'ამირი. მაშინ ერთმა კაცმა მისი საჰაბებიდან თქვა: "ჩვენ მათზე მეტად ვიმსახურებდით ამას"; თქვა: როცა ეს გაიგონა შუამავალამა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «ნუთუ თქვენ მე არ მენდობით მიუხედავად იმისა, რომ სანდო ვარ მისთვის ვინც ჩაშია!

ჩემამდე დილა-საღამოს ზეციდან ამბები მოდის». მაშინ ერთი კაცი წამოდგა, რომლის თვალები ჩაღრმავებული იყო მათი ბუდეებში, მისი ლოყების ზედა ნაწილი გამოყოფილი და წამოწეული იყო, შუბლი მაღალი, წვერი სქელი, მაგრამ არა გრძელი, თავი გადაპარსული, ხოლო ქვედა სამოსი აწეული. ამ კაცმა უთხრა: «ო ალლაჰის შუამავალო, გეშინოდეს ალლაჰის", შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «ვაი შენ! ნუთუ მე არ ვარ იმ ადამიანთაგან, ვინც ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს ალლაჰის?!» როდესაც ის კაცი შეტრიალდა და წავიდა, ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: ო ალლაჰის შუამავალო, ნუთუ არ მოვკვეთო მას თავი? უპასუხა: «არა, ნუ მოკლავ! რადგან შესაძლოა, ის ლოცულობდეს», ხალიდმა უთხრა: რამდენი მლოცველია, რომლებიც ენით ამბობენ იმას, რაც გულში არ აქვთ, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «მე არ ვარ წარმოგზავნილი, რომ ხალხის გულებში ჩავიხედო და მათი მუცლები გავკვეთო; მე მხოლოდ იმით უნდა ვიხელმძღვანელო, რაც გარეგნული საქმეებიდან ჩანს». როცა ის მიდიოდა შეხედა მას და თქვა: «ამ კაცის შთამომავლობიდან, მისი მეგობრებოდან ან მისი ტომიდან გამოვა ხალხი, რომლებიც ოსტატურად და ლამაზი ხმით წაიკითხავენ ალლაჰის წიგნს. მათი ენები ყურანის ხშირი კითხვისგან მუდამ სველი იქნება, მაგრამ ყურანის სიტყვები მათ ყელს არ გადაცდება, რათა მათმა გულებმა შეითვისონ ის და გამოსწორდნენ. ალლაჰი არც აამაღლებს მათ და არც მიიღებს მათგან. ისინი ისე სწრაფად გავარდებიან ისლამიდან, როგორც ისარი გამოდის ნადირიდან(როგორც ისარი გაპობს ხოლმე ნადირს) – სწრაფად და მსუბუქად». "ვფიქრობ, მან ასევე თქვა: «თუ მე მოვესწრები მათ გამოჩენას, როცა ისინი მუსლიმებზე მახვილით გაილაშქრებენ, უეჭველად, უმკაცრესად გავანადგურებ მათ ისე, როგორც სამუდის ხალხი განადგურდა".

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/8307